

არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც გაგიწევენ დახმარებას, თუ გასაჭირში აღმოჩნდით. ქვემოთ მოცემულია მათი მისამართები :

ფონდი “მორწმუნეები ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ”
Sint Janssingel 92
NL 5211 DA Den Bosch
The Netherlands
T: +31- 73 – 615 44 44
F: +31- 73 – 615 44 49
E-mail: srtv@srtv.info
Website : www.srtv.info
Bankgiro : 420557 t.n.v. SRTV

თუ დახმარება გადჭირდებათ გერმანიაში :

შოლწოდი (მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქალთა გაერთიანება)
Probstei-Strasse.2
D-54 154 Boppard Hirzenach
Germany
Tel. +49-67 41 22 32
Fax: +49-67 41 23 10
E-mail: solwodi@t-online.de
Internet: www.solwodi.de





Georgian

ფონდი
“მორწმუნეები ქალთა
ტრეფიკინგის წინააღმდეგ”

გაფრთხილება ქალებს!

ევროპა – სამოთხე?

ვინმე შეგპირდათ უკეთეს მომავალს
დასავლეთ ევროპაში ჩამოსვლით?



ნუ დაუჯერებთ
ყველა
მონათხრობს!

ეს ბროშურა განკუთვნილია ქალებისათვის განვითარებადი ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან, რათა გაეფრთხილოთ ისინი დასავლეთ ევროპაში მიგრაციის დროს არსებული შესაძლო საფრთხის შესახებ.

**თქვენ ეს უნდა იცოდეთ. . .
ბევრ სხვა ქალბატონს აქვს თქვენნაირი
ოცნებები**

მარია
მარია სიღარიბეში ცხოვრობდა. მას ყოველდღიური ბრძოლა უხდებოდა ძალიან მცირე შემოსავლის მისაღებად, რათა თავი ერჩინა, თუმცა მას მომავლის იმედი არ დაუკარგავს. ერთ დღეს მან გადაწყვიტა ბედი ეცადა, დადო კონტრაქტი ერთ-ერთ სააგენტოსთან, რომელიც მას დასავლეთ ევროპის ქვეყანაში მაღალანაზღაურებად და კარგ სამსახურს სთავაზობდა. იგი ფიქრობდა, რომ ამ გზით ის, როგორც მოცუკვავე, თავს დააღწევდა უკიდურეს გაჭირვებას. ნიდერლანდებში ჩასვლისას ყველა დაპირება ტყუილი აღმოჩნდა. დაპირებული სამუშაოს მაგივრად იგი აიძულეს, ბორდელში ემუშავა.

ტერეზა
ტერეზა გახდა მიწერ-მოწერის კლუბის წევრი და ამ გზით ცდილობდა მდიდარი კაცის გაცნობას. ამგვარად გაცნობილმა მამაკაცმა იგი დაპატიჟა გერმანიაში. ჩასვლისას მას დიდი იმედგაცრუება ელოდა. მისი მომავალი მეუღლე არა მარტო ბევრად ხნიერი აღმოჩნდა, არამედ ალკოჰოლიკიც, რომელმაც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ლიტა
ბელგიელი ტურისტის ლიტას შეჰპირდა მდივნის სამუშაოს საკუთარ სასტუმროში. ბელგიაში ჩასვლისას მან ლიტას დაუყოვნებლივ ჩამოართვა პასპორტი და აიძულა მეძავად მუშაობა.

სთხოვეთ ინფორმაცია და დახმარება ადამიანს, რომელიც ამ ბროშურას გადმოგცემთ!

რატომ არის საჭირო ამგვარი გაფრთხილება?

დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ჩვენ ვხვდებით ძალიან ბევრ ქალსა და გოგონას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რომლებიც მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მათ დაპირდნენ:

- კარგ სამსახურს
- მაღალ ხელფასს
- ბედნიერ ქორწინებას
- და სხვ.

მათ სჯერათ, რომ შეიძლება გამდიდრდნენ ხანმოკლე პერიოდში, დაბრუნდნენ თავიანთი წარმომავლობის ქვეყანაში და დახმარება გაუწიონ თავიანთი ოჯახის წევრებს.

მაგრამ ხშირად რეალობა სხვაგვარია

1. ძალიან ძნელია სამუშაოს შოვნა დასავლეთ ევროპაში უმუშევრობის მაღალი დონის გამო;
2. თქვენ გჭირდებათ მუშაობის ნებართვა, ბინადრობის ნებართვა ან ვიზა. სხვა შემთხვევაში გემუქრებათ ქვეყნიდან გაძევების საფრთხე;
3. ქალების უმეტესობას ცუდად უხდებიან; ხშირად ისინი პროსტიტუციის სფეროში აღმოჩნდებიან ხოლმე;
4. სასიამოვნო დაპირებები ყალბია და მათ არ არსულებენ. გაფრთხილდით!



დარწმუნდით, რომ თქვენი დოკუმენტები წესრიგშია.

ყველაფრის მიუხედავად თუ მაინც გასურთ ბედის ცდა . . .

1. აუცილებლად იქონიეთ იმ ადამიანების სახელი, გვარი და მისამართი, რომლებიც დაპირებებს გაძლევენ. გაარკვიეთ, კანონიერია თუ არა მათი საქმიანობა.
2. დაუკავშირდით დანიშნულების ქვეყნის საელჩოს. ჰკითხეთ მათ, არსებობს თუ არა რეალურად თქვენი პოტენციური დამქირავებელი და რამდენად სანდოა იგი.
3. დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ მიგრანტთა პრობლემებზე. ეცადეთ, მოიპოვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. თქვენ შეიძლება დაბრუნებისას მათი დახმარება დაგჭირდეთ.
4. დაუტოვეთ თქვენი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თქვენი გამგზავრების თარიღი, საზღვარგარეთ თქვენი მისამართი, იმ ადამიანთა სახელები და გვარები, რომლებთან ერთადაც მგზავრობას აპირებთ და თქვენი უახლესი ფოტოსურათი.

თქვენი პასპორტი თქვენი საკუთრებაა !

5. თუ პრობლემები შეგექმნებათ, მოითხოვეთ იურისტის საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად თქვენ გაქვთ უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლება.
6. ზოგიერთ ქვეყანაში პოლიცია ჩართულია ქალების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ დოკუმენტები არ გააჩნიათ. ისინი გაგიწევენ დახმარებას.

არასოდეს გადასცეთ სხვას თქვენი პასპორტი !